სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

21/10/2025

MES 3 25 0001385095

აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მდივნის, იაშა(კოკა) კუტუბიძის 2025 წლის 21 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (1379711) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 11 ნოემბერს დაინიშნოს არჩევნები უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 2 ადგილი;

სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 2 ადგილი.

2. აკადემიურ საბჭოს წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. აკადემიური საბჭოს წევრს ფაკულტეტიდან ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება

უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.

5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 28 ოქტომბრიდან 04 ნოემბრის ჩათვლით.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა 2025 წლის 28 ოქტომბრამდე უზრუნველყოს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საარჩევნო სიის წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები განთავსდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. არჩევნების შედეგები წარედგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 05 დღისა.

11. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს შესაბამისი ფაკულტეტების სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე.

12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით